სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/167

ქ. თბილისი

11 ოქტომბერი 2023 წ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორ, აკადემიკოს დავით გურგენიძის გიორგი ნიკოლაძის სახელობის მედლით დაჯილდოების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, აკადემიური საბჭოს უხუცესი წევრის, პროფესორ ჯუმბერ იოსებიძის წარდგინებითა და აკადემიური საბჭოს 2023 წლის 11 ოქტომბრის №01-05-02/24 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ხანგრძლივი და ნაყოფიერი სასწავლო-აღმზრდელობითი, სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის, უნივერსიტეტის მეცნიერთა, ინჟინერთა და სტუდენტთა უპრეცედენტო მასშტაბის, ტექნოლოგიებისა და მოსალოდნელი შედეგების მქონე საერთაშორისო ლიდერ კოლაბორაციებში (CMS – ცერნი, DUNE – აშშ, COMET – იაპონია) მონაწილეობის ხელშეწყობისათვის, მსოფლიოს წამყვან სამეცნიერო ცენტრებთან (CERN – შვეიცარია, FERMILAB – აშშ, KEK, J-PARC – იაპონია) თანამშრომლობის გაფართოებისა და მაღალ საფეხურზე აყვანისათვის, ქართული საინჟინრო აზრის საერთაშორისო აღიარების პროცესში შეტანილი პირადი წვლილისათვის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს დამსახურებული მშენებელი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი, მაღალრეიტინგულ

რეფერირებად გამოცემებში გამოქვეყნებული 105-ზე მეტი სამეცნიერო სტატიის, 7 მონოგრაფიის, 7 სახელმძღვანელოს, 5 დამხმარე სახელმძღვანელოს, 2 გამოგონების ავტორი და სამშენებლო ენციკლოპედიური ლექსიკონის ხუთტომეულის თანაავტორი დავით გურგენიძე დაჯილდოვდეს გიორგი ნიკოლაძის სახელობის მედლით;

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე : ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**